

რედამცია: სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედამციის: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მომწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროза“.

გაზეთის ფასი: თითო წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორჯერად

# დროშა

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე

ფასი განცხადებისას: ცდებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედამციის უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

რადგანაც შაბათს სახელმწიფო დღესასწაულია, ამის გამო კვირას, 27 აპრილს, გაზეთი არ გამოვა.

## საქართველო

ხელოსნების დამხმარებელი საზოგადოება.

### II.

ჩვენ ქალაქელებს საქმე რამ რომ გაუჩნდებათ ხელოსნებთან, უჩვეულად იმ ანგარიშს მისდევენ, რომელსაც არაფერი მოთქვება და მოსაზრება არ უნდა, — რომ ერთი მანეთი ნაკლებია ორზედ, ასი — ორასზედ და სხვ. ამიტომ საქმის შეკვეთას დროს სულ იმასა ცდილობენ, რომ ორ მანეთიანი ერთ მანეთად გააკეთებინონ, ასი მანეთისა ოც მანეთად და სხვ. ამ გარემოებაში მყოფი ხელოსანიც, მეტი ღონე არა აქვს, ორ მანეთიანს ერთ მანეთად იღებს, რომ მშიერი არ მოკვდეს, მაგრამ თანაც იმას ცდილობს, რომ სამ აბაზზედ მეტი არ

დახარჯოს ზედ, — და აბა მიბრძანეთ, როგორ მოახერხებს ამას, თუ კარგი მასალის მაგიერ ცუდი არ იხმარა, საჭირო დროს მოხმარების მაგიერ სახელ-და-ხელოდ არ გააკეთა და სხვ. ამ გვარად: პირველი ცდილობს მეორით ისარგებლოს და მეორეც კიდევ იმას ცდილობს, რომ პირველი მოატყუოს. აქედამ გამოდის სიყალბე, სიმრუდე, საქმის აუსრულებლობა, ფულის მოჭრა საქმის პატრონისაგან და ხშირად ცემა-ტყუაცა, ბევრჯელ კიდევ ფულის დატყუება ხელოსნისაგან და გაქცევა... თუილისის სახელოსნო შპრავაში რომ ჩახვიდეთ ყველა ამ ნათქვამში დარწმუნდებით.

აბა აქედამ რა უნდა გამოვიდეს ხელოსნისთვის კარგი, რაზნობის გამოწრთენელი, რა პატრონების ჩამწერგაფი და ხელობაში სიბეჯითის მასწავლებელი უკოლა უნდა გაიაროს ხელოსნის შეგირდმა? ის პატარაობითვე სიყალბეში და სიცუდეში იზრდება, და დიდობისა-საც გულ-ატრუევით ეკიდება საქმეს და ზნეობითაც იმ გვარივეა როგორც თავის ოსტატი. ასე ეცემა ჩვენში ხელობაც და ხელოსნის ზნეობაც: ოსტატი

შავირდს ასწავლის და ისიც თავის რიგად თავის შავირდს გარდასცემს და სხვ.

მა არის მიზეზი, რომ რიგიანი საქმის მოყვარე გვერდზედაც არ იტარებს ჩვენებურ ხელოსნებს, არამედ მიჰმართავს ხოლმე უცხო ქვეყნელ ხელოსნებს, რომელნიც შემო-აღწერილი გარემოებით სარგებლობენ და უმოწყალოდ ჰყვლეფენ, ვინც კი იმათ საქმეს შეუტყუებს რასმეს. თუ საქმე არ გაგრძელდა, თუ ჩვენი ხელოსნები ისევ ამ მდგომარეობაში დარჩნენ — უჩვეულად უნდა მოველოდდეთ, რომ უცხო ქვეყნელი ხელოსნებით აივსება თუილისი და მაშინ ჩვენი ხელოსნები იძულებულნი იქნებიან, რომ მშვირები არ დაიხრცნენ — იმათთან წავრდნენ მუშებად — თუ კი იმათაც არ დაიწუწეს და მიიღეს ისინი.

რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეს ხელოსანი და იმის მომავალს უკეთესი გზა მიეცეს, ამისთვის ჩვენის ჰაზრით საჭიროა სასტიკი ყურადღება მიეპყრას შეგირდების სწავლებას და როდესაც ისინი გაათავებენ სწავლას, მაშინ სასტიკად უნდა იყენენ გამოცდილნი თავიანთ ცოდნაში, ამის ბეჯითად აღსრულება ცო-

## ფელტონი

ნაცვლად ნაპროლოდისა.

ამ უკანასკნელს საუკუნეში და უნამეტნავესად ამ ჩვენს მოსწრებაში, შეიქმნა საოცარი მოძრაობა ქალებისა მრავლის კეთილის განძრახვის შესასრულებლათ; ამ მიზანმა მათ განუძლიერათ სურვილი უმალღესის სწავლის მიღებისა, მიეცათ გამბედაობა, მზნეობა და საქმი-თაც აგერ, აგერ გვიმტკიცებენ, რომ მათ არ ეტყობებთ მონაწილეობა და სიმართლე იმ უფლებების მიღებაში, რაშიაც მხოლოდ მამაკაცთ ჰქონდათ ადგილი.

მაღლებმა დაგვიმტკიცეს, რომ ისინი უკან არ ჩამორჩებიან ვაჟაკებს სწავლის საგნებში და ზოგი ერთნი მათგანი ისე ბრწყინავენ განათლებითაც, რომ ბევრს მამაკაცს მოუტყუებთ მათთან და-ტოლება და ამ უკანასკნელთ ურჩევნი-ათ ჩამოართონ მათ წინდის ჩხირები!...

მაღლებმა გაკვალეს და გატყუებენ მტკიცე ბილიკი იმ ადგილებში შესავა-ლათ, რომელთა კარებში აქნობამდის

მათთვის დახშული იყო. მხლა ისინი ბრწყინავენ იქა.

ზადახედეთ ამერიკისკენ, მიიხედეთ მეროპისკენ და დაინახათ, რომ ქალებმა ძლიერ წინ წაიწიეს და არიან შერი-ცხულნი წვერებათ მრავალს განათლებულს და სწავლულს საზოგადოებაშია, არიან ექიმებათ, ნასწავლ ბებიებათ, მასწავლებლებათ, უჭირავთ ადგილები სხვა-და-სხვა კანტორებში, ტელეგრაფის სტანციებში, რკინის გზებზედ და სხვაგან. და სხვაგან.

მაგრამ, ცოტას მოგებობდით და ვიტყვი შემდეგ ამ ჩემის ლაპარაკისა, არ იფიქროთ, ვითომც მე მსურდეს, რომ ვიმუხაფო იმავე საგანზედ, რომელსაც ეხლა დიდი პატივი და გამოკვლევა აქვს და უხმობენ: „женский вопрос“-ად. (ქალთა სიმართლე უფლება-ზედა.) არა. ეს ლაპარაკი იყო მხოლოდ წინა სიტყვაობასავით. მე მსურს მოგახ-სენოთ ორიოდ სიტყვა საზოგადოა-იმევე ქალების კეთილ მოქმედებაზედ, ამ დაბოლოებულს მსამღეთთან ბრძო-ლაში და განსაკუთრებით ნეტარად ხსენე-ბულის კნენა ანნა ლეითის ასულის ჰეჰეჰეჰის თავგანწირულებაზედ.

შველამ უწყით, რომ შესდგა მრავა-ლი წრე „ქველ მოქმედთა თებთა“, ც-ციოთ, რა რიგ პატრონურად მომზადე-ბულნი და პატრონების განძრახვილთ და გამბედაობით გაემგზავრნენ იგინი ომის ველისაკენ, სადაც მათ მოელო-დათ ყოველი გარი შრომა, ნაკლუ-ღოვანობა, სიცივი, სიცხე, წვიმა, ტა-ლახა, თოვლი, ზოგჯერ შიმშილი და უძი-ლობა; მაგრამ ყველამ კი არ ვიციო, როდენს გაკიცხავს (უგუნურება, აგან, საფთხეს, მარცხს და განსაცდელს მოე) ლოდნენ იგინი და შეემდებეოდნენ...

ამ „ქველმოქმედთ“ შორის ჩაე-წერნენ და წარემართნენ ომის ველი-საკენ როდენიმე პირნი ჩვენი საქართ-ველთა მიწის შეილნიცა. მათ შორის გაემგზავრა, თავის სურვილით, ბედისა-გან ხელ აღებულნი და ბოლომდის უბე-დური, ერთი დიდი კაცის ცოლიც, კნე-ინა ანნა ლეითის ასული ჰეჰეჰეჰისა. იმის წარსვლაზედ აქ ადგილიც არ არის რომ ვილაპარაკოთ. მანვაგრძობ მხო-ლოდ, რომ პირველმა დანიშნულებამ და ხვედრმა კნენა ანნა მიიყვანა 7-ს მაისს 1877 წელს ქალაქს არა-დანს, ახლად აღებულს ჩვენის ჯარები-



ტა ძნელია ამ ჩვენ ცოდვილ დროში და ჩვენი აუზრდელი ხელოვნებისათვის, რადგან აქედამ გამოშვებული სარგებლობა ისე ცხადი ვასაგები არ არის იმათთვის, როგორც თავის ხელობისთვის საჭირო მასალის მალაზის გამართვა,—მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც აუცილებელია.

ახლა საქმე იმაში მდგომარეობს, თუ რა გზით უნდა მოხდეს ეს. რაღა თქმა უნდა რომ სახელოსნო სასწავლებელი უნდა ამას, მაგრამ მანამ ეს გაიმართება,—და ამის გამართვას ხომ ვინ იცის ათი წელიწადიც კიდევ მოუხდეს,—მანამ სჭირს საქმე. ამ ჟამად, ჩვენის აზრით, ეს საქმე უნდა იკისროს ქალაქის ხელოვნების თავმა და ისევე დავალოს თავის უსტაბაშებს. ამით, როგორც მთელი ხელოვნების წარმომადგენელთა, ბევრთად უნდა მოჰკიდონ ხელი და სასტიკად გამოსცადონ ყველა ოსტატები, რომელთაც შეგირდები ჰყავსთ—შეუძლიანთ შეგირდების სწავლება, თუ არა და თუ შეუძლიანთ, მართლა ასწავლიან რასმე, თუ სხვა გარეშე საქმეზედ ამუშავებენ. ამისათვის წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახდინონ ყველა უსტაბაშმა ხელოვნების თავის დასწრებით შეგირდების გამოცდა, ეგზამენია, და სწავლის შესრულების დროს, ფიქრობ, შეტი არ იქნება სხვა გარეშე პარებაც მიიწვიონ ეგზემენიებზედ, მაგალ. არხიტექტორები, მეხანიკები, ტეხნიკები და სხვანი, ვინც კი რაზე ხელობა იცის. ამ გარეშე პარების მოწვევას ზნეობითი მნიშვნელობა მაინც ექნება,—ოსტატისა და შეგირდის თავის მოყვარეობას ცოტათი მაინც გააღვიძებს...

ამას გარდა ხელოვნებისა და ხელოვნების წარმატებისათვის დიდი მნიშვნე-

ლობა ექნება მუდამ წელიწადს გამოფენის გამართვას აქაური ნახელოვნარის სახლობდ გამოსაფენათ და ამ გამოფენაზედ საუკეთესო ნახელოვნარი უნდა დაჯილდოვდებოდეს ხოლმე. ეს უნდა იკისროს ხელოვნების თავმა და სახსარიც თვის შპრავაში, ან სხვა გზით სადმე უნდა იპოვნოს ამისათვის.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ხელოვნებისთვის იმდენს ვერაფერ ვერ გავაკეთებ, რამდენიც შეუძლიან ხელოვნების თავს, თავის მდგომარეობით. და როგორც ვიცით, კიდევ შეუძლიან გაკეთება, რადგან კარგათ ესმისთ თვისი ხელოვნების მდგომარეობა. აგრეთვე შევიტყუთ კიდევ, რომ ამ ჟამად ის აპირობს ჯერ ერთ ამქარში, მოახერხოს ზემოთ ნათქვამი ღეკოს გამართვა; ვისურვოთ მისი სურვილის აღსრულება. ეს იქნება ხელოვნების ფეხზედ დაყენების წამალი.

დღიური

\* \* ჩვენი ანხატის ქუჩა ახლა ისრე დავიწყებულა, რომ თითქო მთილის არც კი ეკუთენისო: ნაგვით და ყოველგვარის უწმინდურობით სავსეა. სხვათა შორის ეს ერთი კვირაა, რაც ანხატის სობოროსთან ახლო ერთი ოთხფენის მძოვრი გდია, რომლის სუნისგანაც ეს მშვენიერი გრილი საღამოს ჰაერი იწამლება და ფუჭდება, ისე, რომ იქ გავლა არ შეიძლება, მაგრამ კაცი ყურს არ უგდებს და ქუჩას არეინ მოაშორა.

\* \* როგორც ვხედავთ, ჩვენს ქართველთ ახალგაზღვარებაში ჩაინერგა მხურ-

ვალე საყვარული მხატვრობისა, რომლის შესასწავლადც უნდა გამოვლდებულ მეცადინედ გამოჩინდნენ მხატვრობის ქართველები.

მითი, უ. ბერიძე, როგორც მოგვხსენებთ „დროებიდაი“, ხომ უკვე წავიდა.

მარდა ამისა გუშინ, ამ თვის 22-ს გამგზავრა ბერმანისკენ კიდევ 19-ის წლის ახალგაზდა ქართველი, ბიორგი ზაქარიას ძე რატიევი თავის ხარჯით. მომავალი წლისთვისაც ემზადება იმავე ხელობის შესასწავლად ბიგო ტარიელოვი, მოიმედვე საზოგადოებისგან შემწევობისა.

\* \* ამას წინეთაც რამდენჯერმე ჰყოფილა „დროებაში“ მოხსენებული მთილისის მესხანების სტარშინაზედ, უ. შარუხიძეზედ ხალხისაგან უკმაყოფილება; როგორც სჩანს ამ უკმაყოფილებაზედ მმართველობას მიუქცევია ყურადღება, რადგანაც, როგორც ნამდვილ წყაროდამ შევიტყუთ, ორშაბათს, სწორეთ იმ დროს, როცა ის ზურნა-დულუკით ჰყოფილა საქეიფოდ ლეთავებაში, (მარტყოფში), იმ დროს მთავრობისაგან დანიშნულ პირებს დაუბეჭდავთ იმის სამმართველოს ყველა საბუთები და აგრეთვე ფულების ყუთი და მას აქეთ სწარმოებს გამოძახება მისი მოქმედებისა, რომელიც, იმედი გვაქვს, აღმოაჩენს მის ყოველივე მოქმედებას.

\* \* ხონილამ იწერებიათ, რომ იქაურ მამასახლისის მილლიციონერების აყვანის

საგან და საგესს დაკოდილებითა.

აქ ბლომათ გამოუჩინდა საქმე კნენია ანნას: თავის წილათ შეხვდა მას მოსავლელათ სამოცამდის დაჭრილი და ბოლოს ხანებში კი რიცხვი დაკოდილებისა და ავად მყოფებისა აღმეტებოდნენ ასსაც.

რასაკვირველია ანნას რომაქ მართებდა მხნეობა, გულ მოდგინება, მოთმინება... და ისიც მხნობდა, ერთგულობდა და ითმენდა, ჩვეული კარგ ცხოვრებაში და განსვენებაში.

შოველ დღე ორჯელ უნდა ჩამოეცლო თითოეულის ავთამყოფისათვის, შეეხსნა ჭრილობა, მოეწმინდა, და მოეზანა ჩირქი, გამოეცვალა წამალი და მალამო, შეეხვია კოდილი ადგილი, გაემხნევებინა სნეული, დაეყვავებინა მისთვისა და მოეზინა საზარელი სუნი საავთამყოფოში დატრიალებულს.

არ დაუარდა ანნა ამ შრომას და არ უსუსტა მოვალეობას და თავის კეთილის მოქმედებით შეაყვარა თავი ავადმყოფებს, ასე, რომ ისინი მას ეტყოდნენ აღსარებასავით თავიანთთა საიღუმლოთა, მას გაუზარებდნენ თავიანთ

სიხარულს და შესხივლებდნენ მწუხარებებს! . . .

მომეტებულმა შრომამ კნენია ანნა აიძულია დასთხოვოდა 28 დღით დასასვენებლად და თავისიანების სანახავადაც, მაგრამ ბედმა აქაც არ მოუხსენა: გზაში მომავალმა ხელი მოიტება და იტანჯა დიდხანს. . . არა მიმხედვემა ამ მტკივნეულებსამ, ანნამ არ დაუჯერა თავისთვის ტომებს, რადგან მოვალეობა მიანდა უშეტეს თავის თავისა და ისევ სნეული, გაეშურა ავადმყოფების მოსავლილათ! . . .

ქიმებს და ყველა მოსამსახურეთ არტაჰანში იამათ კნენია ანნა ჰეჭავაძის დაბრუნება, რადგან ყველას თავი ისე შეაყვარა, როგორც ღვიძლმა დამძებს და როგორც მშობელმა დედამ—შვილებს! . . .

ანნამ, თვითონ უძღურმა და სნეულმა მიჰყო ხელი ისევ მოვლას და პატრონობას დაჭრილებისას, ემსახურა კიდევ ხუთი თვე უშეტესის მხნეობით და ერთგულებით და დახე კიდევ ბედსა: ერთხელ როდესაც ავთამყოფი მიწვენილი ჰყვანდა თავის მტკივანს მკლავეზედ და საქმელს აჭმევდა, მაშინ დასუსტებულმა

დაჭრილმა ვერ შესძლო ჯდომა, გადაიწია წასაქცევად და საცოდავს ანნას ახლად შედუღებული მკლაფი ისევე გადასტება! . . .

აქეთ ერთი გადაგორდა და იქით მეორე.

როგორც იყო, გადაურჩა ამასაც ბედკრული ანნა, მაგრამა უბედურის აღამიანის ბოლო, განა კეთილათ დატრიალდება? . . . აპრილში შეეყვარა საცოდავს ფარდახტიანი სახადი, რომელსაც ჩვენი ექიმები პატარა ჭირად უწოდებენ, და მოულო მას ბოლო! . . .


ასე და ამ დამსახურებაში გარდაიცვალა, 18 წარსულს აპრილს, არაღაღანში, უპატრონოდ, უთვის ტომოდ და მოუვლელად, უცხოეთში, უბედური, მაგრამ ნეტარად სახსენებელი კნენია ანნა ღვითის ასული ჰეჭავაძისა და იქვე დასაფლავეს.

ნეტავი იმის სულსა!

აქ მომყავს კნენია მარბარე ჯორჯაძისაგან წარმოთქმული ამ სამწუხარო შემთხვევაზედ ლექსი, დაწერილი მისგან თავის უბედურს დახედ:

აი ეს ლექსი:





დროს „ჯიბის ფული“ აუღია სულ ათას ექვსას მანეთამდე. იმ გლეხებმა, რომელნიც უფრო გამოცდილი და მოხერხებულნი იყვნენ იჩივლეს და მამასახლისმა ამათ დაუბრუნა ფულები, ასე რომ ექვსასი მანეთი-ღა არის ამის ხელშიო. ბარდა ამისა ერთი ამდენიც ხონის ვაჭრებისგან აქვს აღებული უბრალო აქტების გამო: ვინც ხუთი მანეთი აჩუქა, აქტები დაუბრუნა, ვინც არა—სულში წარადგინაო და მართალი ვაჭრები უბრალო პასუხის გებაში მისცაო.

შოჩალ მამასახლისო! ძარვა გცოდნია ფულის ხეცა!

\* \* \* თუმცა ჩვენს ქალაქში ხალხს უშიშრად, მშვიდობიანად ერთი დღეც არ გაუტარებია, მაგრამ რაც ხარფუხის მცხოვრებლები საშიშარს მდგომარეობაში არიან,— რადგანც იქითკენ მომეტებულ ნაწილად სულ სპარსელი თათრები სცხოვრობენ და ყოველივე ქურდობა და ავაზაკობა იმათში არსებობს,— არსად არ შეიძლება.

\* \* \* „ბაკაზში“ იწერებინან, რომ 17 აგვისტოს 8 საათზედ აბაშის სტანციილამ გამოსულ მგზავრების პოეზდს სტრელოჩნიკმა შეცდომით მისცა გზა სრულიად მივარდნილ რელსებზედ, რის გამოც პოეზდი დაეტაკა ბოძებს, მატარებელი და სამი მანლობელი ეავონი: ბარგის, ტუსალებისა და შესამე კლასისა გადასხლტნენ რელსებიდან ყველა გორებით და შესანიშნავი ზარალი მიეცა. მგზავრებთაგან არავინ არ დამარცხე-

ბულა, მხოლოდ მაშინისტა ცოტათი დაეტყო ტკივილიო.

# ოქის უაღაბ

## რუსეთი

„პეტერბურლის უწყებებში“ იწერებინან, რომ მეზენცოვის მკვლეელი ჯერ არ უპოვნიათ. შოველ მხრივ ძებნამ უქმად ჩაიხარა ახლა ფიქრობენ, რომ მკვლელები პეტერბურლში იმალებიანო. ამის გამო იქ არის შინჯვა მცხოვრებლების ბილეთებისა (პასპორტები). პოლიცია ვალდებულია ყოველთვის მზათ ჰქონდეს პოლიტიკურ-არა-კეთილ საიმედო პირების სიაო.

— „ახალ დროებაში“ სწერენ, რომ ტოტლებენმა წინადადება მისცა პორტას, რომ როდობის მთებში გაგზავნოს თათრის რეგულიარული ჯარი, რადგანაც იქ ისევ აჯანყდნენ. მსანტის არემარეში მოხდა შეტაკება ინსურგენტებსა და რუსების მოწინავე ჯარებს შუაო.

— „მოსკოვის უწყებებში“ იწერებინან სან-სტეფანოლამ, რომ ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, რომ მომქმედ არმიამ ითვლება 19,836 ავათყოფიო.

— ბაზეთ „Temps“-ს აცნობებენ ტელეგრაფით ვენილამ, რომ ავსტრო-ოსმალოს კონვენცია ბოსნიის დაჭერაზედ ხელმოწერილი იქნება.

ბრაფ ანდრასის განზახვა აქვს სასტიკად აღასრულოს ბერლინის ტრაქტატი, რომ რუსეთს არ მისცეს შემთხვევა უთანხმოების გამოცხადებისაო.

— „ახალი დროება“ ამბობს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, ისმინა, რომ მეზენცოვის მკვლეელი დაჭერილია; თუმცა ეს ხმები არ შეიძლება ნამდვილ ხმებად მივიღოთ. ის კი ნამდვილია, რომ ამ ქამად მმართველობის ხელში იმყოფება უმთავრესი სახელმწიფოს დამნაშავე. 14 მარტობისთვის პეტერბურლში მოვიდა ცნობა, რომ მარშავის ახლომახლო ერთ პატარა სოფელში დაუჭერიათ ახალ-გაზდა კაცი, რომლის ძებნაზედაც ყოველ მხარეს იყო განკარგულება. შოტოგრაფის შემწევობით ამ ძებნას უწყალოთ არ ჩაუვლია: ძიევში თეიკინგის სიკვდილის შემდეგ ადგილობრივ სატუსალოდამ გაიქცა რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავენი, იმათ რიცხვში ღეიჩი. ამ უკანასკნელის სახე გადაიღეს ფოტოგრაფებმა და გაუგზავნეს პოლიციის აგენტებს ყველა მხარეებში, საცა კი დამნაშავეს შეეძლო დამალვა და იქილამ სამზღვარ გარეთ გაპარვა. ბეიკინგისა და მეზენცოვის სიკვდილმა, როგორც ერთი ხასიათისაგან, ყველანი დაარწმუნა, რომ ეს საქმე არის სახელმწიფოს წინააღმდეგი საზოგადოებისა, რომელშიაც ღეიჩიც დიდ მონაწილეობას იღებს.

ღეიჩი მარშავის ახლო-მახლო დაუჭერიათ სწორეთ იმ დროს, როცა ის ემზადებოდა სამზღვარ გარეთ გაპარვას. მიიღეს თუ არა იმის დაჭერაზედ ტელეგრაფმა პეტერბურლში, ბევრს უჩვენებია იმაზედ, როგორც მეზენცოვის მკვლელებზედ. ღეიჩი უკვე მიიყვანეს პეტერბურლში სასტიკ ყარაულ ქვეშ.

წუთი სოფლისგან დატანჯული და დაკოდილი, მითომ გაექე, დაო, სადმე, შენს უხელო ბედს? ან თუ იფიქრე გეწეოდა გულის წაღილი, ან თუ ჰპოვებდი, საცოდავო, დაკარგულს იპედს? . . .

შენებრ უბედურს ვარსკვლავზედა ვინცა შობილა, შოველივე ცდა, გინა სიბრძნე, ფუჭი ყოფილა, ბრწყინვალე დღენი მისთვის მარად ბნელათ შეცვლილა და ვალალების ცრემლის მორწყვით, მწარეთ დაღლილა. . .

შენდა ნუგეშათ, თუ შეუდექ თვით შრისტეს მცნებას? აიღე ჯვარი და მისდევდი ღვაწლით ნათელს გზას; ოქში დაჭრილს ჯარს გაუწევი დიდს პატრონობას, უხეველი წყლულთა მოლაშქრეთა, თავდაბლათ ყველას! . . .

მაგრამ რა ფერგო, რა ნაყოფი მოჰყვა შენს შრომას? ჯილდო სიკვდილმა სად მოგასწრო, უცხო ქვეყნას. . . . მეღარა ნახავ საუკუნოდ თვისს ტომს, დას და ძმას, შვზო, უკვლოთაც შეგამწყვდის, ქალო, ბნელს სავანს.

თავი შესწირე ბელმწიფესა და შენს სამშობლოს, შენც გაერევი სხვა წამებულთ, მოწამეთ გუნდში. . . . თითქმის იცოლი, მანდ გპოვებდა სიკვდილი ბოლოს და ის მოჰსპობდა მწუხარებას შენს დამწვარს გულში! . . .

საღმობის დღეში ვინა გყვანდა ხელის მომწვედელი? მის შეავედრე უსჯულეთში, ნანო-ჯანსული? . . . ნეტა ვიცოდე, თუ რა გქონდა იმ დროს სათმქმელი, რომელს გვიხმობდი შენს შენსმწველელად. ცნობა მიხდილი? . . .

ჩვენ სადა გყვანდით სისხლ-ხორცი და ნათესავეები, რომ არ გივლიდით, არ დაგიცხრეთ სენი შემწველი? . . . მანდ იქნებოდი, როგორც მწირი, ვინმე უცნობი, უჭირისუფლო, ვით გლახაკი, ცრემლ დაუყრელი! . . .  
პ. ბ. ჯორჯაძისა

შეედეგ ანისა ჩვენ ნულარ ვიტყვი, რომ ჩვენში არ იყვნენ ქალნი, ენერგიის მქონენი, სწავლის მსურველნი და ქველმოქმედებისათვის თავ განწირულნი; ნულარ ვიტყვი, რომ ქალებს შეილებების შობის და აღზრდის მეტი დანიშნულება არა აქვთო და დაუბრუნოთ ის სიმართლე, რისაც ღირსნი ყოველთვის ყოფილან, არიან და იქნებიან და დააშვენებენ და დაავიგოვინებენ კიდევ იმ ადგილს და თანამდებობას, რომელთაც იგინი მიიღებენ. —



# ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი, 22 აგვისტოს.** რადგან აესტრიაშვიტმა შეპნიშნა, რომ ხონტკრის უმაღლესი უფლებების ცნობა იმას აჩვენებს, რომ დროებითი იქნება ოკუპაცია, ამიტომ მსმალეთის მთავრობამ უარყო იმ მუხლების დაბეჭვდა, რომელშიც ნათქვამია, რომ ოკუპაცია დროებითი უნდა იყოს. ამ დათმობის მიუხედავად აესტრიაშვიტის გადაწყვეტას აყოყმანებს და ამტკიცებს, ვითომც აესტრიაშვიტმა, იმ მიზეზით, რომ მისი ჯარი იმარჯვებს, თან-და-თან უკან წაიღოს თავის დათმობები. საფრანგეთი ურჩევს მსმალეთს მოუხრიდეს როგორმე საბერძნეთს და ამათ თითქმის აგებინებს იმას, რომ თუ ვინცოცაა შეჯახება მოგინდებთ ერთმანეთში, გადელაპარაკდეთ მხრიდან გზავნა.

**ლონდონი, 22 აგვისტოს.** მუშინ სალამოზედ გენი Alice, დაბრუნებული greivzend საქეფო მგზავრობის შეპდევ 600 პასსაჟირებითა, დეტაკა ტემზაში, ლონდონის ახლოს, მეორე უცნობ გემსა და ჩაღუბა ის წყალში ყველა შიგ მსხლომებითა.

**გელბრადი, 22 აგვისტოს.** სერბიის მინისტრთა რჩევის გადაწყვეტილების ძალით, მილანმა მიიღო ტიტული შიპალესობისა.

**ვენა, 23 აგვისტოს.** „პოლიტიკური კორრესპონდენციაში“ იწერებინან: ბრიტანის ფლოტი მღე გავა პრინცი კუნძულებიდან და დადგება პენის ნავსადგურში, მარმარილოს ზღვაში.

კამატრბურლის ბირჟა, 23 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96—58
მეორესი — — — — —	95—25
მესამესი — — — — —	95—25
მეოთხესი — — — — —	95—25
აღმოსავლეთის — — — — —	94—75
რქოვ, 1/2 იმპერიალი —	7—93

თვილ. თავდა-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — — — —  
 შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან. კაპ.
პირველი სესხის — — — — —	237—50
მეორე სესხის — — — — —	237—25

1 მანეთი ლირს:

ლონდონი — — — — —	25—50 პენსი
ამსტერდამი — — — — —	126—75 ცენტი
ბერლინი — — — — —	216—25 ჰენიგი
პარიზი — — — — —	263—80 სანტიმი
შავსაისის კერასინი — — — — —	2—45
პეეროკის — — — — —	3—15

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

### „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში — ყველა წიგნი მალაზიებში,  
 შუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.  
 ფასი ყველგან ემისი უაური.

გიგოლ ჩარკიანის წიგნის მალაზია-აზიისშიდება:

### „წიგნი“

მოთხრობა თავადი რაფიელ შრისთვის, ფასი 15 კაპიკი.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა შ. შუთაისში

## „წიგნის მალაზია“

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მალაზიაში“ ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მალაზიაში იმყოფება შუთაისის განყოფილება ქვეყანის საშაწავლებლო უწყების კომისსიონერის უ. შ. რთანოვის წიგნის მალაზიისა.

მალაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, ქალუბის ქვემოთ.

შუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

- 1) დედა მანა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
  - 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
  - 3) სოლი ვიტირო, თუ უფლი? ქო. მედია ალ. თუთაეისა, ფასი 30 კაპ.
  - 4) ვეფხვის ტყარსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
  - 5) მეფე ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.
- და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

რკ. გზა.	ლილ.	ს. ლა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი..	9 21	5 18	3 კაპ.	8 კაპ.	მ. სიტყვა. თფილისიდან:		თფილისი, 22 აგვისტ.		ქრეფ ს. მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა..	10 11	6 27	- 68	- 38	ქუთაისს, შოთს . . . . .	1	შქე. თეთ. მანჯ. საფ. ფთ.	2	ავეთყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 8 საათ დამ 10-მინ.
ბორი..	11 5	9 43	2 40	1 33	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს . . . . .	50	ფ. ვილი წ. თელი . . . . .	1 60	მ. რ. შაბათს: შერმიშვი და ბა- რლევჩა — შინ გ. ავ თ., ქიურჩა-
ხ. შური..	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვი, მდესას, მოსკოვ	2	ბანბ. ქრეფ ისა, ფუთი . . . . .	7 50	რიანც — თვლსა და ხ. რურგულ.
სტრამა..	1 44		4 42	2 46	პეტერბურს, მარავეს . . . . .	2	— აპერიკია, ფუთი . . . . .	8 40	საშ. შაბათს: შერმიშვი — ში-
შვარცი..	5 49		5 81	3 23	მსმალეთს, შვიც. რაიში.	3	ბანბ. ქრეფი ბ. შაბა ფუთი . . . . .	10	ნ. გ. ბ. ქ. რეზერვულსა და კანის
რიონი..	6 5		6 75	3 75	იტალიაში და ს. ჭრანგეთში . . . . .	3 50	მ. რეკული თფური ფუთი . . . . .	8 50	ა. ბ. ხუტოვი — საბებო და ბავშვის,
სამტრედია..	7 51		7 73	4 29	ინგლისში . . . . .	3 75	— მარაქამისა ფუთი . . . . .	4 50	პეუნოვი — თვალს.
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	<b>ფოტბა</b>		აბრეშუნი ნუხური ტ . . . . .	2	მ. თხ. შაბათი: შერმიშვი შა-
ფოთი . . . . .	9 5		9 75	5 42	ა) თფილისიდან: ს. მზღვარ გარ, თ, ქუთაისს, რუხეთს — ყველ დღე კვირას გარდა ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მხურ. — პარსკ. და ორშ. ქახეთს — ს. მშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთს. კენ — ყველ დღე, კვირას გარდა, მ. რეგთს — ორშ. და პარსკ.		ქან, ფუთი . . . . .	6	ნ. განი, ბაქსტი — გულის და ნერვების
ფოთი . . . . .	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამშღვარ გარეთ:		ქონს სანთლი ფუთი . . . . .	8 80	ხუთ შაბათს: შერმიშვი — ში-
ახალ-სენაკი	10 14		1 18	- 66	ლა. წიგნი . . . . .	4	სტერინის ს. ნთელი, ფთ. . . . .	12 60	ნ. გ. ბაქსტი გულის, ქიურჩიან-
სამტრედია	11 5		2 6	1 14	და ბ. ჯილის. (ა. მ. მისხალი) . . . . .	8	ხორცო ძროხისა, ლიტ — ცხვრისა, ლიტრა . . . . .	81	ცი — ატილიტკური და საშვილო-
რიონი..	12 13		3 4	1 69			სპირტო ვედრო . . . . .	4 80	სწო. ორგანების, ა. ბ. ხუტოვი —
შვირილა..	1 18	ლაშე	3 98	2 21			შეკაი, ბროც. ფუთი . . . . .	7 50	ქალის და ნერვების.
სტრამა..	5 12		1 10	5 33			ფხვნილი ფუთი . . . . .	5 40	პარასკევს: შერმიშვი ვი-შინ. გ.,
ხ. შური..	5 39		1 37	5 84			ქეთი ქუნჯუთისა ფუთი . . . . .	13 50	ა. ბ. ხუტოვი — ქალისა და ბავშვის.
ბორი..	7 5		4 87	3 6			ქაბაქო, ს. შულო ფთ. . . . .	12	შაბათს: შერმიშვი შინ გ., ბაქ-
მცხეთა..	8 50		6 59	9 8					ტი-გულსა და პეუნოვი — თვალის.
თფილ სი..	9 31		7 56	9 75					